ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლა, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება*)*

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
წევრ(ებ)ი:
ნიკოლოზ წულაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	212706222

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი
ფაქტობრივი მისამართი	ქუთაისი, მუსხელიშვილის მე-4 შეს. №1
საფოსტო ინდექსი	4600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 0 26 0000200708, 20/02/2026 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის MES 0 26 0000200708 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის გეგმიური მონიტორინგი, დოკუმეტების შესწავლით. სკოლის მიერ გადმოგზავნილი იქნა მონიტორინგის ფარგლებში შესამოწმებელი კომპონენტების მიმართებით სათანადო მტკიცებულებები, ამასთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი და სკოლის მიერ მოწოდებული იქნა დამატებითი დოკუმენტები.

გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზრული ,,გ.ა)“ ,"გ.დ)", "გ.ე)" და "გ.ვ)" კომპონენტების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

მონიტორინგის ფარგლებში, შემოწმდა წინა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი, შემოწმების შედეგები ასახული იქნა წინამდებარე დოკუმენტში.

აღსანიშნავია, რომ სკოლას წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება სრულად არ განუხორციელებია, რაც მიუთითებს რეკომენდაციების შესრულების პროცესში არასაკმარის დაგეგმვასა და მონიტორინგზე. აღნიშნული გარემოება საჭიროებს სკოლის მხრიდან უფრო ეფექტიანი მართვის მექანიზმების დანერგვას. მნიშვნელოვანია,

რომ სკოლამ სისტემურად მიუდგეს რეკომენდაციების შესრულების პროცესს და უზრუნველყოს მათი ინტეგრირება სკოლის სამოქმედო გეგმასა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
1720	1681

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტით დახარვეზებული იქნა:

ა) ინდიკატორი N3.1.2.4. - სკოლის ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ბ) ინდიკატორი N3.4.1.1. - სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

გ) ინდიკატორი N3.5.1.4. - სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის მისადაგებული შშმ პირთა საჭიროებებზე, კერძოდ სკოლის შენობის მე-2 და მე-3 სართული არ იძლევა, ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილების საშუალებას.

დ) ინდიკატორი N3.6.3.5. - სკოლას ვებ-გვერდზე (skolebi.emis.ge) განთავსებული არ არის სკოლის სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, სკოლის ბიუჯეტი/ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.
სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია (კორესპონდენცია MES 5 26 0000382090 31.03.2026 წ) და სტანდარტთან/სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (შემდგომში - შესაბამისობის გეგმა) .

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად ექსპერტმა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა, არგუმენტირებული პოზიცია შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად ,,რამდენჯერმე გამოცხადდა კონკურსი ექიმის ვაკანსიაზე, თუმცა ერთ შემთხვევაში შესაბამისი კადრი არ გამოცხადებულა, მეორე შემთხვევაში კი საერთოდ არავინ არ მიიღო მონაწილეობა. როდესაც კადრი ვერ შევავსეთ, დავიწყეთ ექიმებთან მოკვლევა და გამოიკვეთა, რომ ამ პირობებით და ამ ხელფასით ექიმები არ არიან დაინტერესებულნი, ან არის დროის პრობლემა, მათ სურთ რამდენიმე სამსახურში იმუშაონ, რაც სკოლის პოლიტიკისთვის შეუსაბამოა. რაც შეეხება ექთნებს, შესაბამისი კვალიფიკაციის ექთნებმა მონაწილეობა არ მიიღეს.“

შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, თუმცა მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადა, კერძოდ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად დადგენილია 20 აპრილი (მითითებული არ არის თუ რომელი წლის აპრილის თვეში უნდა მოხდეს ხარვეზის აღმოფხვრა), ამასთან არ არის განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრისთვის საჭირო რესურსები, სხვა მხარეების (გარდა სკოლისა) ჩართვის საჭიროება.

ბ) სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად ,,მოხდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, შესაბამისი ორგანოდან მივიღეთ დასკვნა, რომელსაც გამოგიგზავნით. დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრა დაიწყება აპრილის თვიდან.“

სკოლის მიერ წარმოდგენილია ასევე, სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N 85 (12.03.2026 წ) , რომლის თანახმადაც ობიექტი არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის სათანადო აქტივობები, თუმცა მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადა, კერძოდ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად დადგენილია სხვადასხვა დრო, თუმცა მითითებული არ არის კონკრეტულად რომელ წელს უნდა მოხდეს ხარვეზის აღმოფხვრა, რაც ართულებს განისაზღვროს ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდი, აღნიშნული კი ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ავტორიზაციის სტანდარტის შესაფასებლად.

გ) სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად ,, ლიფტზე სკოლამ რამდენჯერმე მიმართა ინფრასტრუქტურის სააგენტოს (წერილები გამოგზავნილი გვაქვს), მაგრამ არანაირი პასუხი არ მიგვიღია თუ როდის მოხდება ლიფტის დამონტაჟება. გამომდინარე აქედან, სკოლა კვლავ გაგზავნის წერილს შესაბამის ორგანოში.“

შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, თუმცა მოცემულ შემთხვევაშიც მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადა.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა უნდა იყოს კონკრეტული, გაზომვადი და შესრულებადი. ზოგადი, დეკლარაციული ან ვადების გარეშე წარმოდგენილი გეგმა ვერ ჩაითვლება საკმარისად.

აღნიშნული გარემოებების გამო, სკოლის მიერ განსაზღვრული შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები ვერ იქნება მიჩნეული საკმარის ეფექტიან მექანიზმად ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

დ) სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად ,,სკოლის ვებგვერდზე უკვე ატვირთულია მოთხოვნილი დოკუმენტები.“

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის ვებგვერდის შესწავლის შედეგად დადგენილი იქნა, რომ ატვირთულია ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაცია.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე შეფასება შეიცვალა მხოლოდ 3.6. სტანდარტთან მიმართებით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის III სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.1.2.4.	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*სკოლის ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.*	*სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.*

ინდიკატორი N3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის მისადაგებული შშმ პირთა საჭიროებებზე, კერძოდ სკოლის შენობის მე-2 და მე-3 სართული არ იძლევა, ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილების შესაძლებლობას.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.*	*გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.*
ინდიკატორი N 3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით კვალიფიციური ექიმის ვერ შერჩევის შემთხვევაში, ექიმის საშტატო ერთეული ჩაანაცვლოს ექთნით და უზრუნველყოს კვალიფიციური ექთნის დასაქმება.*

ინდიკატორი N 3.4.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს	*მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს სკოლის ფსიქოლოგის საშტატო ერთეულის გამოყოფის თაობაზე, რაც იქნება დამატებითი შესაძლებლობა სკოლაში ფსიქო-ემოციური უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.* *სკოლაში ფსიქოლოგიური მომსახურების დანერგვა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დროულ გამოვლენასა და შესაბამის რეაგირებას, რაც დადებითად იმოქმედებს სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*რეკომენდაციების შესრულების სტატუსი*
ინდიკატორი N 3.1.1.1	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული*	*განხორციელდეს სკოლაში მოქმედი ყველა სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუნქციების განსაზღვრა და დამტკიცება სკოლის შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N 3.1.2.2.	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა*	*შემუშავდეს პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი კონკრეტული დოკუმენტი ასევე, განხორციელდეს საშტატო განრიგის ცვლილება და დირექტორის მეორე მოადგილის დანიშვნა სკოლის შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის*	*მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალის პირად საქმეებში სკოლის*	*შესრულებულია*

	შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	*შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში წარმოდგენილ იქნას:* ✓ *ცნობა ნასამართლეობის შესახებ;* ✓ *სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა;* ✓ *უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.* *შემუშავდეს დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იქნება სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლის შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში*	
ინდიკატორი N3.1.2.4.	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;*	*შემუშავდეს დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იქნება სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლის შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.*	*არ არის შესრულებული.*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*განხორციელდეს სკოლის შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შემდეგი აქტივობები: დადგინდეს სკოლის მიერ განხორციელებული*	*არ არის შესრულებული*

		ღონისძიებების შესაბამისობა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიწერილობით მიცემულ რეკომენდაციებთან; სკოლის საშტატო განრიგის ცვლილება და მეორე ექიმის დანიშვნა.	
ინდიკატორი N3.4.1.5	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;*	*შემუშავდეს სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი სკოლის შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N3.5.1.3.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*სკოლის თითოეული სართულის საგანმანათლებლო სივრცის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სკოლის შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, დამონტაჟდეს შიდა პანდუსები.*	*არ არის შესრულებული*
ინდიკატორი N3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო	*სკოლის შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განხორციელდეს სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდის შენაარსობრივად გამართვა და სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.*	*შესრულებულია*

	პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.		

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (III სტანდარტი)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის სტრუქტურა განსაზღვრულია ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს.

სკოლის მიერ წარმოდგენილია, დოკუმენტი ,,სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ" (სკოლის დირექტორის 2026 წლის 03 მარტის N 2-47 ბრძანება). დოკუმენტი აზუსტებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას.

სკოლის საშტატო განრიგით დასაქმებული პირები არიან: დირექცია - დირექტორი, ორი დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი - თითო-თითო საშტატო ერთეული: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი; საქმისმწარმოებელი; საინფორმაციო მენეჯერი; ბიბლიოთეკარი; ექიმი და ექთანი. ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტი (7- საშტატო ერთეული), დამლაგებელი (4-საშტატო ერთაული), დარაჯი (ერთი), მუშა (ერთი).

სკოლის სტრუქტურული მოწყობა შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

სკოლის მიერ შესრულებულია წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით, არ არის გადაფარული სხვადასხვა დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის ბრძანება;
- საშტატო განრიგი;
- შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა

და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ასევე, სკოლის მიზანია იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნას, სადაც თითეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.
სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული აქვს შრომის შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ შემუშავებული ადამინაური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება: სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით; საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი და რელევანტური ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების დაგეგმვით; ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავების გზით; დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდების გზით; თანამშრომელთა საჭიროების კვლევით და მათზე მორგებული პროფესიული განვითარების კონცეფციის შემუშავებით: ტრენინგი, სწავლება, მონიტორინგი და ინდივიდუალური განვითარების გეგმა; იმგვარი გარემოს შექმნით, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის.
სკოლის მიერ შესრულებულია წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები, რომლითაც დგინდება, რომ სკოლა პერსონალის შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით, პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით.

სკოლას, პერსონალის მიმართ დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება N2-47 02.03.2026 წ).
სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა დასაქმებულთა სახელზე გაცემული ცნობები ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.
სკოლის მიერ შესრულებულია წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილია, სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება (2026 წლის 03 მარტის N 2-47 ბრძანება). დოკუმენტი აზუსტებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას და განსაზღვრავს სკოლას პერსონალის მიმართ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
სკოლის მიერ ასევე წარმოდგენილია სკოლის ექიმის და ექთნის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა შესწავლით დგინდება, რომ სკოლის ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კერძოდ მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი). თანახმად სკოლის ექიმად მუშაობისთვის კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი სამედიცინო განათლება და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“.
სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, თუმცა მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადა, კერძოდ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად დადგენილია

20 აპრილი (მითითებული არ არის თუ რომელი წლის აპრილის თვეში უნდა მოხდეს ხარვეზის აღმოფხვრა), ამასთან არ არის განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრისთვის საჭირო რესურსები, სხვა მხარეების (გარდა სკოლისა) ჩართვის საჭიროება.
მოცემული ფაქტობრივი გარემოების გამო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არ არის კონკრეტული, გაზომვადი და შესრულებადი, რის გამოც სკოლის მიერ განსაზღვრული აქტივობა ვერ იქნება მიჩნეული საკმარის ეფექტიან მექანიზმად ხარვეზის აღმოსაფხვრელად.
სკოლის მიერ არ არის შესრულებულია წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლის მართვა ხორციელდება მონაწილეობით, რაც გულისხმობს პერსონალის ჩართულობას და თანამშრომლობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში. სკოლის პედაგოგების და მშობელთა წარმომადგენლები კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეული არიან სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში, რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

წარმატებული გამოცდილებების აღიარებისა და გაზიარების ცალკეული მექნაიზმები სკოლას გაწერილი აქვს ადამინაური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტში. აღნიშნული მექანიზმები საშუალებას აძლევს პედაგოგებს გაეცნონ არსებულ გამოცდილებას, დასვან კითხვები, მიიღონ პასუხები, მოტივირდნენ კონსტრუქციული, პოზიტიური უკუკავშირით და აღიარებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის ექიმის და ექთნის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება.
- დასაქმებულთა სახელზე გაცემული ცნობა ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს სხდომი ოქმი;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.**

   სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები (სკოლის დირექტორის ბრძანება N2-290 10 .07.2025 წ).

   სკოლას აქვს:

   ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

   ბ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექპსერტიზის დადებითი დასკვნა N004862123)

   სკოლა არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

   სკოლას საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან 2026 წლის 16 თებერვლას გაფორმებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადებების მომზადების მომსახურების შესყიდვაზე, რომლის საფუძვეზე სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N 85 (12.03.2026 წ).

დასკვნის თანახმადაც ობიექტი არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანია, სკოლამ შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დროულად განახორციელოს სათანდო ღონისძიებები, საჭიროების შემთხვევაში დამატებით მიმართოს შესაბამის ადმინსტრაციულ ორგანოებს. მნიშველოვანია სკოლაში სათანადოდ იყოს დაცული სახანძრო უსაფრთხოება, რომელიც არის პრაქტიკული გადაწყვეტილებების ერთობლიობა, რამაც უნდა უზრუნველყოს ხანძრისგან გამოწვეულ ზიანის შემცირება და როგორც ადამიანების სიცოცხლის, ისე მატერიალურ ქონების დაცვა.
სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის სათანადო აქტივობები, თუმცა მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადა, კერძოდ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად დადგენილია სხვადასხვა დრო, თუმცა მითითებული არ არის კონკრეტულად რომელ წელს უნდა მოხდეს ხარვეზის აღმოფხვრა, რაც ართულებს განისაზღვროს ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდი, აღნიშნული კი ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ავტორიზაციის სტანდარტის შესაფასებლად.
მოცემული ფაქტობრივი გარემოების გამო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არ არის კონკრეტული, გაზომვადი და შესრულებადი, რის გამოც სკოლის მიერ განსაზღვრული აქტივობა ვერ იქნება მიჩნეული საკმარის ეფექტიან მექანიზმად ხარვეზის აღმოსაფხვრელად.
,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.

სკოლის მიერ არ არის შესრულებული წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას საშტატო განრიგის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული ჰყავს ექიმი და ექთანი. სკოლის დირექტორის 2026 წლის 02 მარტის N 2-45 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სამედიცინო დახმარების წესი“ , რომელიც არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით დაცული იქნას ადამიანთა ჯანმრთელობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალით დასტურდება, რომ სკოლის შენობაში განთავსებულია, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით (№41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი). განსაზღვრულია სკოლებში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის **სარეკომენდაციო რაოდენობათა თანაფარდობა,** რომლის თანახმადაც ავტორიზებული სკოლისთვის ავტორიზაციის გადაწყვეტილებით განსაზღვრული (და არა ფაქტობრივად არსებული) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800 და მეტი მოსწავლის შემთვევაში, სკოლას უნდა ჰყავდეს ორი ექიმი, ხოლო ექიმის არარსებობის პირობებში შეიძლება ჩანაცვლდეს ექთნით.

ვინაიდან სკოლაში კვალიფიციური სამედიცნო პერსონალის რაოდენობა (სკოლის ექიმის კვალიფიკაცია) არ აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **სკოლას მიეცა რჩევა** მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით კვალიფიციური ექიმის ვერ შერჩევის შემთხვევაში, ექიმის საშტატო ერთეული ჩაანაცვლოს ექთნით და ამ გზით უზრუნველყოს კვალიფიციური ექთნის დასაქმება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები/მანდატური. სკოლის დირექტორის 2026 წლის 24 თებერვლის N 2-35 ბრძანებით განსაზღვრულია უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე დამსწრე უფლებამოსილი პირები. სკოლაში არსებობს ინსტრუმენტი/მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა სკოლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნეს ნივთები, რომელთა ქონა/გამოყენება სკოლის ტერიტორიაზე აკრძალულია. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია (შინაგანაწესის 23-ე მუხლი) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილების წესი, კერძოდ შინაგანაწესი ზღუდავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან სკოლის ტერიტორიაზე შესვლას სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე.

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირების დასადასტურებლად წარმოდგენილია მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სასკოლო დისციპლინის დაცვის მიზნით სკოლის მიერ შემუშავებული მექნიზმების (სკოლის შინაგანაწესი, ბავშვზე ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და რეფერირების განხორციელების წესი, მრჩეველთა საბჭო, საგანგებო სიტუაციებში რეაგირებისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები) განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება, სასწავლო გარემოს უსაფრთხოება.
თუმცა, უსაფრთხო სკოლა მხოლოდ ფიზიკური გარემოს კონტროლს არ გულისხმობს და ის მოსწავლეების ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფასაც მოიცავს. მნიშვენლოვანია სასწავლო პროცესში უპირობოდ პოზიტიური, ღია, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა.
სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად არ ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც იქნებოდა დამატებითი შესაძლებლობა მოსწავლეებს, დაინტერესებულ პირებს საჭიროების შემთხვევაში მიეღოთ კვალიფიციური ფსიქოლოგიური მომსახურება.
აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე **სკოლას მიეცა რჩევა** მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს სკოლის ფსიქოლოგის საშტატო ერთეულის გამოყოფის თაობაზე, რაც იქნება დამატებითი შესაძლებლობა სკოლაში ფსიქო-ემოციური უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი“.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის, ასევე სკოლაში განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი.
სკოლის საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით დაასქმებულია ოთხი დამლაგებელი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებისა და პროცედურების კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2025 წლის 21 მარტის MES 9 25 0000314829 ბრძანებით გამოყოფილია რესურსცენტრის თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს, სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებას. სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 მარტის N 2-63 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხები.
სკოლის შიდა მექანიზმები იძლევა საშუალებას უზრუნველყოფილი იქნას პერსონალური მონაცემების დაცვა.
სკოლის მიერ შესრულებულია წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დაცვის მექანიზმების თანახმად, სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. ამასთან სკოლის საქმისწარმოების წესის თანახმად სკოლაში ნაწარმოები დოკუმენტაცია ინახება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის N174 ბრძანებით დამტკიცებული ,,დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესის'' დაცვით, კონკრეტული სახის დოკუმენტების შესანახად განსაზღვრული ვადის განმავლობაში. დადგენილი

ვადის გასვლის შემდეგ მუდმივად შესანახი (10 წელი და მეტი ვადით) დოკუმენტაცია გადაეცემა საქალაქო არქივს, ხოლო ნაკლები ვადით შესანახი დოკუმენტაცია ნადგურდება. ელექტრონული ფორმით წარმოებული დოკუმენტაცია არქივდება სკოლის ელექტრონულ სისტემაშივე. სკოლის არქივის წარმოებაზე და დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვალდებულია განიხილოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები და მოისმინოს სკოლის დირექტორის ანგარიში რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მიმრთვა ქ. ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ლიფტის მოწყობის სამუშაოების დაფინანსების თაობაზე;
- ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის გამოყოფის შესახებ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობის და ანგარიშვალდებულობის განსაზღვრის შესახებ;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ექიმის დიპლომი;
- სკოლის ექთნის დიპლომი;
- შენობა-ნაგებობის მდგარადობის დასკვნა;

- მიმართვა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან სკოლის შენობის შესაბამისობის შესახებ;
- სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება რომ სკოლას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით სარგებლობაში გადაცემული აქვს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულის მიწის ნაკვეთი, ფართობი: 18221.00 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები:N1 საერთო ფართით 3354.8 კვ,მ (I სართული 1113.73 კვ.მ II სართული 1113.06 კვ.მ III სართული 1128.01). სკოლის მიერ წარმოდგენილია ასევე ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა, ინვენტარიზაციის აღწერის უწყისები, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია სკოლის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის მერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-46 02.03.2026 წ) მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის ძირითადი მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. მატერიალური რესურსებით სარგებლობის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება მოსწავლეთა პრაქტიკული და თეორიული უნარების განვითარებისათვის, მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის პრინციპებია: სკოლაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის, მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N 2-147 16-04-2024) დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესს. სკოლის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ დღე შაბათ –კვირისა და შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა 09:00 საათიდან 17:00 საათამდე. ბიბლიოთეკის გამართული მუშაობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა განათლების, კულტურისა და ზოგადი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურსით უზრუნველყოფა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის თანახმად, სკოლა ვალდებულია დაიცვას ,,გონივრული მისადაგების" პრინციპი, რაც გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას, ამასთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის უზენაესი ინტერესები. ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სკოლის ინფრასტრუქტურა უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი.

სკოლის შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი, თუმცა სკოლის შენობის მე-2 და მე-3 სართულზე ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილება არ არის უზრუნველყოფილი.

წინა ავტორიზაციის დასკვნით ექსპერტთა მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია სკოლის შენობის შიდა კიბეებზე პანდუსის მოწყობის შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმნეტაციით დგინდება, რომ კიბეების სივიწროვის გამო ვერ მოხერხდება პანდუსის გაკეთება, ამიტომ აუცილებელია ლიფტის მოწყობა.

სკოლას ლიფტის მოწყობის სამუშაობის დაფინანსებით მოთხოვნით გაგზავნილი აქვს წერილები, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან, თუმცა საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

აღნიშნული გარემოების გამო, სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის მისადაგებული შშმ პირთა საჭიროებებზე, კერძოდ სკოლის შენობის მე-2 და მე-3 სართული არ იძლევა, ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილების საშუალებას.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, თუმცა მოცემულ შემთხვევაშიც მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადა, რის გამოც სკოლის მიერ განსაზღვრული აქტივობა ვერ იქნება მიჩნეული საკმარის ეფექტიან მექანიზმად ხარვეზის აღმოსაფხვრელად.
შეუსრულებელია წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია.
ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალით, საინვენტარიზაციო აღწერის უწყისებით დგინდება, რომ სკოლის შენობა-ნაგებობა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლას აქვს შესაბამისი ავეჯი/ინვენტარი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი;*
- *ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა;*
- *სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი.*
- *ლიფტის მოწყობის სამუშაოების დაფინანსების თაობაზე, სკოლის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ინვენტარიზაციის მასალები, რომლითაც დგინდება, რომ სკოლას აქვს სათანადო რაოდენობის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის მიზანია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, მასწავლებლებს და სკოლის სხვა თანამშრომლებს (მომხმარებლებს). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა;
- სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. წესი სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. აღნიშნული წესი შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებდეს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება. საქმისწარმოების წესი მოიცავს ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს,

სკოლაში საქმისწარმოება მატერიალურთან ერთად ხორციელდება ელექტრონული („eflow”) სისტემის საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ფოტომასალა) დგინდება, რომ სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ,,ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N08/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის შიდა რეგულაციით განსაზღვრულია ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი
- სკოლის ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილის ამსახველი ფოტომასალა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას დამტკივებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, სადაც განსაზრვრულია: მშობლებისა და სკოლის უფლებები, ვალდებულებები, მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია, საანმანათლებლო საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების დაგეგმვა და დანერგვა. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნით სკოლა იყენებს ვებ-გვერდს, აღნიშნულ ელექტრონულ რესურსებზე სკოლის მიერ პერიოდულად ხდება, საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებით, შესაბამისი ინფორმაციის განთავსება, არსებული ინფორმაციის განახლება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვებ-გვერდის შესწავლით, დგინდება რომ სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ინფორმაციის მართვადობა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად იყენებს არსებულ საკომუნიკაციო არხებს (მისიის, ხედვის, ღირებულების

შემუშავების პროცესში მიღებული უკუკავშირის შედეგად სკოლას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები), მიღებული უკუკავშირის გამოყენება ხდება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდის გადამოწმებით დგინდება, რომ მასზე განთავსებულია ინდიკატორით დადგენილი ინფორმაცია.
სკოლის მიერ შესრულებულია წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლის ვებ.გვერდი skolebi.emis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 02.04.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: